

თათია ახალაია

## ჭერჭეთობა ღამე

ვუძღვნი ტიდას, რომელმაც ამ ზღაპრის დანერა შთამაგონა

გამომცემლობა  
„ჯადოსნური სახლი“

თბილისი  
2021

„ხომ წარმოგიდგენიათ სამყაროს კიდე, სადაც, თითქოს, ყველაფერთან ერთად ცაც კი უნდა სრულდებოდეს?! აქ კი ყველაფერი პირიქით იყო. არც ველის უსასრულობას ჰქონდა საზღვარი და არც ცისას. ალბათ, ეს უნდა ყოფილიყო კარიბჭე, ახალი გზის დასაწყისი“.

ახალგაზრდა ფოლკლორისტის, თათია ახალაიას სადებიუტო რომანი „ჭერჭეთობა ღამე“, ფენტეზის ჟანრს განეკუთვნება. წიგნი მოგვითხრობს ბავშვების მოგზაურობაზე ზღაპრულ სამყაროში, თუმცა მკითხველი მასში მითოსურ სანყისებს ყოველ ნაბიჯზე აწყდება. ამიტომ თამამად შეიძლება, რომანი დიდების საკითხავ ლიტერატურადაც ჩაითვალოს.

ავტორი: თათია ახალაია

რედაქტორი: ბექა ახალაია

ყდის დიზაინი: ალექსანდრე ჭანტურია

გამომცემლობა „ჯადოსნური სახლი“, 2021 წელი

© გამომცემლობა „ჯადოსნური სახლი“

ISBN 978-9941-8-1021-3

## სარჩევი

განმარტებითი ლექსიკონი .....	4
რედაქტორის წინასიტყვა .....	7

## ჭარჭეთობა ღამე

<b>ქიანა</b>	
(ქვეყანა) .....	9
<b>კაობათე მოხტი მჟორა</b>	
(კეთილი იყოს შენი მოსვლა, მზეო) .....	29
<b>ჭკადუ</b>	
(მჭედელი) .....	51
<b>ონწყვეში</b>	
(ჭაობი) .....	68
<b>ბალენიში</b>	
(მიღმური სამყარო) .....	85
<b>რაკანიში მელე</b>	
(ფერდობს გადაღმა) .....	117

## ბანეარტაბითი ლექსიკონი

1. **გერმა კოჩი** – მთა კაცი, ლაზური მითოლოგიის პერსონაჟი, ტყის გოლიათი, მსგავსი ოჩო კოჩისა.
2. **გუშა** – ჭაობის მეუფე მეგრულ მითოლოგიაში, რომელიც ჭაობში კაშინას მიერ შეტყუებულ მსხვერპლს სამუდამოდ ატყვევებს.
3. **დიდამანგისა** – ლაზური ფოლკლორის პერსონაჟი; წარმოდგენილი ჰყავთ დიდძოქუებიანი ქალის სახით, რომელსაც მარჯვენა ხელზე დიდი კაუჭი აქვს; ცხოვრობს სიმინდის ყანებში მიწის ქვეშ.
4. **დინაშ კოჩი** – „მიწის კაცი“ – ავსული ჯუჯა მეგრულ მითოლოგიაში; დადის ოთხ ფეხზე.
5. **კაშინა** – ჭაობის ბინადარი ქალი ულამაზესი კაჟისფერი თმით. ის გზააბნეულ მეთევზეებს, მონადირეებსა და მგზავრებს უსაფრდება და ცდილობს მათ ჭაობში შეტყუებას.
6. **მაკიაფი** – ტურის ტაბუირებული სახელია.
7. **მამბერი** – სვანურ მითოლოგიაში მგლების მბრძანებელი. როცა ის ადამიანებით კმაყოფილი იყო, მგლებს პირს უკრავდა, ხოლო, როცა უკმაყოფილო იყო, პირს გაუხსნიდა და პირუტყვს მიუსევდა მათ.
8. **მესეფები** – ზებუნებრივი არსებები, რომელნიც მფარველობენ წყლისა და ტყის ბინადართ. მათი სამკვიდრო ზღვაა, მაგრამ პერიოდულად ხმელეთზე ამოდიან. ისინი შვიდნი არიან, ერთი მუდამ ზღვაში რჩება, ხმელეთზე კი ექვსნი ამოდიან. ჰყავთ გრძნეული ძაღლი, რომელიც მუდამ თან ახლავთ.
9. **ნიშხა** – გველეშაპი ქართულ მითოლოგიაში.
10. **ოჩო კოჩი** – მეგრულ მითოლოგიაში ნადირთა მბრძანებელი, რომელსაც სხეულის ერთი ნაწილი ვაცისა აქვს, მეორე კი ადამიანისა. ოჩო კოჩს გულ-მკერდზე ბასრი წამონაზარდი აქვს.

11. **ოჰ** – ლაზური მითოლოგიის პერსონაჟი, ოსტატი, რომელსაც ჰყავს შეგირდები და მაქციობის ძალას ფლობს.
12. **ჟამი** – კოლხურ მითოლოგიაში ნესტისა და ჭაობის ღვთაება. ის ძირითადად ერჩის ბავშვებს.
13. **როკაპია** – მეგრული მითოლოგიის პერსონაჟი, ავსულთა მბრძანებელი, რომლის სამკვიდროც ტაბაკონას მთაა. როკაპია მამალზე ან მგელზე უკულმა შეჯდება ხოლმე და ღამლამობით ქვეყნიერებას სტუმრობს.
14. **ტყაშ მათა** – ტყის მბრძანებელი ავსული, მაცდური ქალი კოლხურ მითოლოგიაში.
15. **ფასკუნჯი** – მითოსურ-ზღაპრული ფრინველი, რომელიც ქვესკნელსა და ზესკნელს შორის მოძრაობს.
16. **ქალფრინველები** – ზღაპრის პერსონაჟი ქალები, რომლებიც ხან ფრინველად გადაიქცევიან ხოლმე, ხან კი ქალეზად. ისინი ხშირ შემთხვევაში სასტიკები არიან.
17. **ცეცხლისმფრქვეველი ხარები** – მითიური არსებები კოლხურ ფოლკლორში. ისინი სუნთქვისას ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევენ და ახლომახლო ყველაფერს ანადგურებენ. აღსანიშნავია, რომ ისინი სპილენძისანი არიან და ბერძნული მჭედლობის ღმერთმა, ჰეფესტომ, კოლხეთის მეფე აიეტისთვის გამოჰყედა ძღვნად.
18. **წყაროშ დიდა** – დემონური არსება მეგრულ მითოლოგიაში, წყლის დედა, რომელიც ღამე მიმავალ მგზავრებს წყალში იტყუებს და ახრჩობს.
19. **ჭინკა** – მავნე ჯუჯა, მიწის ავსული, ღამეული არსება.
20. **ჯაზი** – ლაზური მითოლოგიის პერსონაჟი, დემონური სამყაროს მბრძანებელი. ის ძალიან ჰგავს მეგრულ როკაპიას.

## რელაქტორის წინასიტყვა

ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკას საუკუნოვანი ისტორია აქვს, ფენტეზი კი ახლალა იკიდებს ფეხს ჩვენს ლიტერატურაში. ინერება საინტერესო ტექსტები, ერთ-ერთი სწორედ ეს ტექსტია. ჟანრობრივად ამ წიგნს, შეიძლება, საბავშვო რომან-ზღაპარიც ვუწოდოთ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მკითხველის ასაკობრივი ლიმიტირება არ იქნება მართებულად, რადგან მარტივი ენობრივი ქსოვილის მიღმა გაშლილ რთულ მითოლოგიურ პლასტებს ტექსტი უდავოდ აჰყავთ უფროსებისთვის საკითხავი ლიტერატურის რეგისტრში.

ჩემი კუთხური წარმომავლობიდან გამომდინარე, კითხვის დროს არ მტოვებდა განცდა, რომ რალაც ძალიან მშობლიურს ვეხებოდი. ბავშვობის შთაბეჭდილებები ადამიანის ფსიქიკის ქვაკუთხედაა, ხოდა, მათთვის, ვისაც ბავშვობა სამეგრელოში გაუტარებია, ეს წიგნი, ნაცნობი პაგანური ადათ-წესებით და მითოლოგიური მოტივებით, მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი განცდების რეპრეზენტირების საუკეთესო საშუალება იქნება. სხვები კი აქამდე უცნობ, ძალიან საინტერესო სამყაროს აღმოაჩენენ.

ერთი სიტყვით, ეჭვიც არ მეპარება, რომ ავტორის ამ სადებიუტო წიგნს მკითხველი არ მოაკლდება.

**ბექა ახალაია**

## ქიანა (ქვეყანა)

დილით, როგორც კი თვალეები გაახილა თიათამ, ნახ-  
ევრადრაცმული წამოხტა და გარეთ, ჭიშკრისკენ წავიდა  
პირდაპირ, რომ სახლისკენ შეეხედა შორიდან, მაგრამ  
სახლი დღესაც უკუღმა იდგა. უკვე მეორე დღეა, ასე  
ერჩენება, მას შემდეგ, რაც... არავის უმხელს ამ ამბავს  
თიათა. რვეულში ჩანერილი შელოცვა, ვინ იცის, რამ-  
დენჯერ ნაიკითხა წუხელ, მაგრამ ამაოდ, შელოცვებს  
სხვა მთქმელი სჭირდება. დღეს სხვა გზა არაა, აინათს  
უნდა მოუყვეს. სხვებს ვერ მოუყვება, რადგან არ დაუ-  
ჯერებენ ან დაფრთხებიან. აინათი გაუგებს...

— თიათა, რამეს მაჩუქებ? – მოესმა უკნიდან ნაც-  
ნობი ხმა. ჭიშკრისგან ოდნავ მოშორებით აინათი იდგა.

— ეე, აინათ, შენ ხარ? ახლა შენ უნდა მენახე ზუსტად.  
მოდი, მოიწიე. რა გინდა, რომ გაჩუქო?

— თოჯინის ტანსაცმელი ან ნაკლეიკა, სულ ერთია.

— კარგი, გაჩუქებ, მაგრამ რაღაც მაქვს სათქმელი.

— მაგრამ სამსახური?

— შენ წადი და მოგყვები.

\* \* \*

ათ წუთში თიათა ბოსლის უკან იდგა, ქვაყრილ  
ლობესთან. აინათს უკვე აღმუშავებინა საკუთარი „ჩაის  
ფაბრიკა“, ხავსით ამოპირკეთებულ თხრილში ბალახებს

ყრიდა ჩაის ნაცვლად, ფაბრიკის დანადგარებს კი თვითონ ახმოვანებდა: დაგადა... დაგადა... დაგადა...

ეს „დაგადა“ ისე მოსწონდათ ორივეს, რომ საიდუმლო აგენტების ორკაციანი დაჯგუფება შექმნეს და სახელად „დაგო“ დაარქვეს. აინათი დაგო 1 იყო, თიათა კი დაგო 2. ამ კავშირის შესახებ არაფერი იცოდა არც მათმა მეგობარმა აკამმა და არც აინათის დამ – ნონიმ, რადგან ისინი სულ ერთად მიდიოდნენ სათამაშოდ ფერდობზე და ვინ იცის, იქნებ მათაც საკუთარი დაჯგუფება ჰქონდათ რაიმე.

თიათას „ნისქვილიც“ იქვე იყო, გვერდით, ისიც ხავსებით მოპირკეთებული და აქ თამაშობდნენ ხოლმე მეგობრები, სანამ არ მობეზრდებოდათ.

— რა უნდა მითხრა, თიათა?

თიათამ მიმოიხედა, დარწმუნდა რომ აკამი და ნონი არსად იყვნენ და დაიწყო:

— ოღონდ, გთხოვ, ნურავის მოუყვები. გუშინწინ ჯიხაშკარში რომ წავედით მე და აკამი (ჯიხაშკარში შელოცვების ჩასაწერად დადიოდნენ), „ჭინკების ტყესთან“ მივედით, შორიდან მაინც რომ შეგვეხედა. ძალიან მოგვშივდა და ჭამა გადავწყვიტეთ. სანამ აკამი ჩანთიდან საგზალს იღებდა, მე ჩუმად ცალი ფეხი შევდგი ტყეში, მაგრამ შესვლა ველარ გავბედე, აკამი არაფრით გამომყვა.

— რა? ხომ არ გაგიჟდი, თიათა?! მერე?

— იმ დღეს არაფერი მომხდარა, გუშინ დილით რომ ავდექი და სახლს შევხედე, უკუღმა იდგა. შემდეგ ბებო მოვიყვანე და ვკითხე, ხედავდა თუ არა იმას, რასაც მე, მაგრამ მითხრა, შენი მაიმუნობის თავი არ მაქვსო და წავიდა. შელოცვებიც წავიკითხე, ავსულეებზე, მაგრამ მეორე დღეა სახლი ისევ უკუღმა დგას.

— მერე რატომ გააკეთე? ხომ იცი, რომ იქ შესვლა აკრძალულია?



— ვიცი, ვიცი, მაგრამ ხომ იცი, სანამ სკოლა დაინწყება, ჭინკის არსებობის დამადასტურებელი საბუთი უნდა მოვიპოვო, თორემ ისევ დამცინებენ კლასელები. ამიტომ დავაპირე იქ შესვლა.

საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე თიათას გიმნაზიაში დავალება მისცეს, რაიმე საინტერესო ამბავი მოეძია. თიათას ძალიან უყვარდა მითები ჭინკე-ბზე და სხვადასხვა ავსულზე, რომლებსაც ბებია უამბობდა-ხოლმე. ამიტომ გადანყვიტა ერთ-ერთი ამბავი დაენერა ბებოს მონაყოლიდან, რომ ძველად მის მეზობლად მცხოვრებმა მიხამ ჭინკას მოტყუება შეძლო და ასე მოახერხა მისი დამორჩილება. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ემსახურებოდა მიხას ჭინკა, სანამ დათქმული ვადა არ ამოიწურა. ჭინკა ძალიან ბრძენი ყოფილა და გულთმისანი და მიხასაც ყოველთვის სწორ რჩევებს აძლევდა. ბოლოს კი განანყენებული წასულა მიხასგან. ეს ამბავი ძველად ყველას სცოდნია, მაგრამ რახან ახალ დროში აღარ სწამდათ ასეთი რაღაცების, თიათას დავალებასაც დასცინა მთელმა კლასმა. მაშინ დაიფიცა თიათამ, რომ ზაფხულის არდადეგების განმავლობაში ჭინკის არსებობას დაამტკიცებდა რაიმე გზით და სკოლაში საბუთით ხელში დაბრუნდებოდა. აინათი თანახმა იყო, დახმარებოდა, აკამიც და ნონიც დაყვებოდნენ ყველგან, მაგრამ მათ ღიდად არ სჯეროდათ ასეთი რამეების.

სამ დღეში ჭერჭეთობაა, თიათას ბოლო იმედი. იმ ღამით ბევრი ფოტო უნდა გადაიღოს ცეცხლის ირგვლივ, იქნებ რომელიმე კადრში გამოჩნდეს ჭინკა. მაგრამ ჯერ ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს, რომელიც ჭინკების ტყეში ცალი ფეხის შედგმამ გამოიწვია.

— ახლა რა ვქნათ, თიათა?

— აკამს და ნონის ჯერ ნურაფერს ეტყვი, მაინც არ დაიჯერებენ, ხომ იცი?!

— არა, არ ვეცყვი. ფერდობზე წავიდნენ სათამაშოდ და სანამ დაბრუნდებიან, რამე მოვიფიქროთ. შელოცვამ სულ არაფერი შეცვალა?

— არა, არაფერი, გოგო.

ამ დროს აინათმა მინდორში თენოს მოჰკრა თვალი, რომელიც ბურთს კენწლავდა.

— თენოს ხომ არ შევალაცინოთ? ხომ გახსოვს იმ დღეს ღობესთან რომ გველი დააჰიზნოზა?!

რამდენიმე დღის წინ, ბავშვები მიტოვებული სახლის ეზოში რომ თამაშობდნენ, ღობის ძირას გველი გამოს-რიალდა. თიათას ახალი ჩანერილი ჰქონდა გველის შე-ლოცვა და ყველამ ზეპირად იცოდა. სათითაოდ შეუ-ლოცეს ბავშვებმა, გველი კი გაუჩერებლად მიუყვებოდა ღობეს მანამ, სანამ თენომ არ დაიწყო შელოცვა. ჩურ-ჩულით იმეორებდა შელოცვის გაურკვეველ სიტყვებს და თვალს არ აშორებდა ქვენარმავალს. ჩაამთავრა თუ არა შელოცვის ტექსტი, გველი გაჩერდა. ადგილი-დან არ იძვროდა, თითქოს დაანებესო მიწაზე. შემდეგ თენომ ჭიშკარი გაალო და გველს უთხრა, გასულიყო ეზოდან. გველი მორჩილად დაიძრა ჭიშკრისკენ, გავიდა ეზოდან და ბუჩქებში დაიკარგა. ბავშვები თვალეხს ვერ უჯერებდნენ. ზოგმა უბრალო დამთხვევად მიიჩნია, მა-გრამ აინათს და თიათას სჯეროდათ მაგიური სიტყვე-ბის ძალის.

— ეე, მართალი ხარ. მოდი, დავუძახოთ.

გოგონებმა ხელის ქნევით ანიშნეს ბიჭს, მოსულიყო. თენოც სირბილით გამოქანდა მათკენ.

მონათხრობმა ძალიან გააკვირვა თენო. ასეთი რამ ჯერ არ გაეგო. თიათამ შელოცვების რვეული გამოიტანა სახლიდან, იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ავსულების შელოცვის ტექსტი ეწერა და მას მიაჩერა ხელში. თენომ მონდომებით დაიწყო კითხვა, ერთხელ ჩაამთავრა, მე-ორედაც, მესამედაც... ყოველ ჯერზე თიათა ჭიშკრის-